(2009)

გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 1866 (2009)</u>**

2009 წლის 13 თებერვალი

უშიშროების საბჭო,

ეყრდნობა რა თავის წინა რეზოლუციებს, 2008 წლის 15 აპრილის 1808 (2008) და 2008 წლის 9 ოქტომბრის 1939 (2008) რეზოლუციების ჩათვლით,

მხედველობაში იღებს რა გენერალური მდივნის 2009 წლის 4 თებერვლის (S/2009/69) მოხსენებას,

მიესალმება რა 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიან შეთანხმებას და 2008 წლის 8 ოქტომბრის მისი განხორციელების შემდგომ ღონისძიებებს,

ცნობად იღებს რა 2008 წლის 15 ოქტომბერს ჟენევაში დაწყებულ განხილვებს და მოუწოდებს რა მხარეებს მიაღწიონ პრაქტიკულ შედეგებს,

ხაზგასმით აღნიშნავს რა დავების მშვიდობიანი მოწესრიგების მნიშვნელობას,

1. შეახსენებს შეთანხმებებს, რომლებიც მიღწეულია 2008 წლის 12 აგვისტოსა და 2008 წლის 8 სექტემბრის შეთანხმებების შესაბამისად;

2. მოუწოდებს, პატივი სცენ ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისის (S/1994/583) მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების მე-2 (ა) პუნქტის დებულებებს, კონსულტაციების გამართვამდე და უსაფრთხოების გადახედილი რეჟიმის შეთანხმებამდე, ცნობად იღებს რეკომენდაციებს უსაფრთხოების რეჟიმთან დაკავშირებით, რომელსაც შეიცავს გაეროს გენერალური მდივნის 2009 წლის 4 თებერვლის მოხსენება;

3. ხაზს უსვამს თავშეკავების აუცილებლობას ძალის გამოყენებისა და ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის ან დაწესებულების წინააღმდეგ ეთნიკური დისკრიმინაციის ყოველგვარი აქტისაგან და განსხვავების გარეშე (განურჩევლად) პირის უსაფრთხოების, თავისუფალი გადაადგილების უფლების და ადგილნაცვალ პირთა ქონების დაცვის უზრუნველყოფას;

4. მოუწოდებს ხელიშეუწყონ კონფლიქტით დაზარალებულებს, მათ შორის ლტოლვილ და ადგილნაცვალ პირებს, ჰუმანიტარული დახმარების მიღებაში, თავი შეიკავონ ნებისმიერი დაბრკოლების შექმნისაგან დახმარების მიღებაში და მოუწოდებს, ხელი შეუწყონ მომავალში მათ ნებაყოფლობით, უსაფრთხო, ღირსეულ და შეუფერხებელ დაბრუნებას;

5. მოუწოდებს ძალისხმევის გააქტიურებისაკენ რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრობლემისა და ლტოლვილი და ადგილნაცვალი პირების პრობლემის გადასაჭრელად ამჟამად ჟენევაში მიმდინარე განხილვების ფარგლებში და სთხოვს განერალურ მდივანს, თავისი სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით განაგრძოს ამ პროცესის მხარდაჭერა და მოახსენოს საბჭოს ამასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესის თაობაზე;

6. სთხოვს გენერალურ მდივანს 2009 წლის 15 მაისს საბჭოს წარუდგინოს მოხსენება ამ რეზოლუციის განხორციელების, ადგილებზე მდგომარეობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის საქმიანობის შესახებ, შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების ჩათვლით;

7. აცხადებს თავის განზრახვას, 2009 წლის 15 ივნისისათვის მონიშნოს რეგიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალი ყოფნის ელემენტები გათვალისწინებით იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც მოცემული იქნება მე-6 პუნქტში მოხსენიებულ გენერალური მდივნის მოხსენებაში, ჟენევის განხილვის შედეგებისა და ადგილებზე მოვლენათა განვითარების მიხედვით.

8. ადგენს, გაუგრძელოს მანდატი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიას შემდგომი პერიოდით, რომელიც მთავრდება 2009 წლის 15 ივნისს;

9. ადგენს, აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.

[(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)]